ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7888436

ნომერი: AR11135109

თარიღი : 01.04.2026

გაცემის თარიღი : 20.04.2026

გაცნობის თარიღი : 20.04.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

მცხეთა , ზაჰესი , ქუჩა კეცხოველის N32 , ქალაქი თბილისი , დაბა ზაჰესი , კასკადისა და წინამძღვრიშვილის გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მოსულიშვილი პ/ნ 01013004933
- კრწანისის ქ.8

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - მრავალ ადგილიანი ავტოსადგომი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ).
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ს/კ 01.72.12.118.009 ნაკვეთის საცხოვრებელი ზონა 2-ით განვითარება. (სზ–2) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;
სზ-2 – განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური)შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს 2026 წლის 01 აპრილის AR11135109 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.72.12.118.009 მიწის ნაკვეთზე მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის აშენების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, რადგან აღნიშნულ ზონაში მოქმედი კანონმდებლობა მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის მშენებლობას არ ითვალისწინებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.